ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

მედიცინის ფაკულტეტი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია

მაია მეტრეველი

„კამპილობაქტერიოზი გასტროენტერიტული ინფექციით ჰოსპიტალიზირებულ ბავშვებში და *Campylobacter* spp. მტარებლობა ქათმებში“

საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ***პაატა იმნაძე***

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო
უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი
/მედიცინის დოქტორი

თბილისი

2022

აბსტრაქტი

კამპილობაქტერია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ აღიარებულია, როგორც სურსათისმიერი, გასტროენტერიტების გამომწვევი ყველაზე ხშირად იდენტიფიცირებადი ბაქტერია მსოფლიოში. მის მიერ გამოწვეული დაავადება - კამპილობაქტერიოზი უმეტესად თვითმილევადია, თუმცა, მწვავე შემთხვევები საჭიროებს ანტიბიოტიკოთერაპიას. იგი ხასიათდება წყლიანი ან სისხლიანი დიარეით, ცხელებითა და მუცლის სპაზმით, იშვიათად ღებინებით. კამპილობაქტერიოზის ტვირთს მნიშვნელოვნად ამძიმებს ხანგძლივი, პოსტინფექციური, ავტოიმუნური სექველა, როგორიცაა გიენ-ბარეს სინდრომი და სხვა.

სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს საქართველოში პირველად განხორციელებულ *Campylobacter* spp.-ის კვლევას, ერთი მხრივ, ნაწლავური ინფექციების მქონე ჰოსპიტალიზირებულ ბავშვებში და, მეორე მხრივ, ქათმებში, როგორც ინფექციის ძირითად რეზერვუარსა და წყაროში. მისი მიზანია, განსაზღვროს კამპილობაქტერიოზის ტვირთი გასტროენტერიტული ინფექციით ჰოსპიტალიზირებულ ბავშვებში, გამოავლინოს მისი სიხშირე და ეპიდემიოლოგიური ტრენდი სხვა ნაწლავურ ინფექციებთან მიმართებით და შეისწავლოს ადამიანისა და ფრინველის ნიმუშებიდან იზოლირებული *Campylobacter* spp.-ის ქართული შტამების ანტიბიოტიკური რეზისტენტობა და ფილოგენეტიკური მრავალფეროვნება.

კვლევის ფარგლებში, განხორციელდა წარმატებული თანამშრომლობა ეროვნულ დონეზე დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრთან, „თბილისის ბავშვთა ინფექციურ

კლინიკურ ჰოსპიტალთან“ და მეფრინველეობის ფერმებთან, ხოლო საერთაშორისო დონეზე „გერმანიის რისკის შეფასების ფედერალურ ინსტიტუტთან“ (BfR) და ჯორჯიის უნივერსიტეტის, მეფრინველეობის დეპარტამენტთან (აშშ, UGA).

2020-2021 წლებში, სულ შესწავლილია პაციენტთა 481 ფეკალისა და ქათმის ბრმა ნაწლავის 160 ნიმუში. *Campylobacter* spp.-ის დეტექცია და იზოლირება განხორციელდა სელექტიურ ნიადაგებზე ბაქტერიოლოგიური მეთოდით, ხოლო კულტურის შემდგომი იდენტიფიცირება, დადასტურება და სახეობრივი დიფერენცირება მოხდა ბიოქიმიური ტესტებითა და რეალურ დროში პოლიმერაზა ჯაჭვური რეაქციით (RT-PCR). გარდა ამისა, „სრული გენომის სექვენირებით“ (WGS) განხორციელდა *Campylobacter* spp-ის 204 ქართული შტამის მოლეკულურ-გენეტიკური კვლევა და EUCAST-ის მიერ რეკომენდირებული, მინიმალური ინჰიბირების კონცენტრაციების (MIC) მეთოდით შტამების ანტიმიკრობული მგძნობელობის შეფასება.

წარმოდგენილი კვლევის შედეგებით, კამპილობაქტერიოზის წილმა დიარეული დაავადებებით ჰოსპიტალიზირებულ ბავშვებში, ქვეყნის მასშტაბით, შეადგინა 16.6% (95%CI[3.05, 20.8]) (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი), ხოლო თბილისში მისი სიხშრე და ეპიდემიოლოგიური ტრენდი სხვა ნაწლავურ ინფექციებთან მიმართებით აღმოჩნდა შემდეგი: ყველაზე ხშირად იდენტიფიცირებადი იყო *Shigella sonnei* 19.1% (95%CI[15.2, 23.4]), სიხშირით მეორე თერმოფილური *Campylobacter* spp. 12.3%(95%CI[9.2, 16.0]) და *Salmonella* spp.ს იდენტიფიცირება მოხდა საკვლევი ნიმუშების მხოლოდ 4.9% (95%CI[3.0, 7.6]). რაც შეეხება კამპილობაქტერიოზის

ტვირთს, ეპიდემიოლოგიური პირამიდის მეთოდით, დაავადების სავარაუდო ინციდენტობა თბილისის ბავშვთა პოპულაციაში შეფასდა, როგორც 6 შემთხვევა 1000 ბავშვზე წელიწადში. ამასთან, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა *Campylobacter* spp.-ით ინფიცირებულ პაციენტთა მედიანური ასაკი (40 თვე) და *Shigella sonnei*-ით ინფიცირებული პაციენტთა მედიანური ასაკისგან (92 თვე). ეს განსხვავება სტატისტიკურად დაადასტურა მან-უიტნის ტესტმაც (U=994, p<0.001). შედეგად, კამპილობაქტერიოზი აღმოჩნდა ლიდერი ბაქტერია გასტროენტირიტული ინფექციებით ჰოსპიტალიზირებული სკოლამდელი ასაკის ბავშვებში.

საქართველოში იზოლირებულმა *Campylobacter* spp.-ის, როგორც კლინიკურმა, ასევე ფრინველის შტამებმა გამოვლინეს მაღალი ანტიბიოტიკური რეზისტენტობა ციპროფლოქსაცინისა და ტეტრაციკლინის მიმართ, ხოლო გენტამიცინის, ერითრომიცინისა და ქლორამფენიკოლისადმი ყველა შტამი იყო მგრძნობიარე. ერტაპენემის მიმართ *C. coli*-ს იზოლანტებმა აჩვენეს სხვადასხვა პროცენტით რეზისტენტობა, მაშინ როცა *C. jejuni* -ის შტამები იყვნენ სრულად მგრძნობიარე ამ ახალი თაობის ანტიბიოტიკური საშუალების მიმართ.

ანტიბიოტიკური რეზისტენტობის დეტერმინანტი წერტილოვანი მუტაციები აღმოჩნდა ფლორქინოლებისა და ტეტრაციკლინის მიმართ რეზისტენტული ყველა შტამის *gyr*A (T86I) და *tet*(O) გენებში. მულტირეზიტენტული შტამები უფრო ხშირი იყო ადამიანისა და ფრინველის ნიმუშებიდან იზოლირებულ *C. coli* -ში, ვიდრე *C. jejuni* -ში.

მოლეკულურ-გენეტიკური კვლევის შედეგად, *Campylobacter* spp.-ის ქართულ შტამებში აღმოჩნდა მულტილოკუსური სექვენირების ტიპების (ST) დიდი

ვარიაბელობა, მათ შორის სამი ახალი სექვენს ტიპი, რომლებიც განთავსდა PubMLST მონაცემთა ბაზაში. RT-PCR კვლევის შედეგად *Campylobacter* spp.-ის 204 შტამიდან 37.7% (n=77) იდენტიფიცირებული იყო *C. jejuni* და 62.3% (n=127) *C. coli*. აღსანიშნავია, რომ ფრინველის იზოლანტებში უჩვეულოდ დომინირებდა *C. coli*.

წარმოდგენილმა კვლევამ გამოავლინა კამპილობაქტერიოზის ენდემურობა ქვეყანაში. მისი შედეგები, საინტერესოა, როგორც სურსათის უვნებლობისა და ვეტერინარიის, ასევე საზოგადოებრივი ჯანდაცვის სექტორებისთვის.

მიმოხილვა

კამპილობაქტერიოზი თერმოფილური *Campylobacter* spp.-ით გამოწვეული დაავადებაა, რომელიც მსოფლიოში სურსათიმიერი დიარეებისა და გასტროენტერიტების გამომწვევ ყველაზე ხშირად იდენტიფიციერებად ოთხ ბაქტერიას შორისაა. *Campylobacter*-ის სახეობები მოძრავი, რკალისებრი, მიკროაერობული, გრამუარყოფითი ჩხირებია, რომლებიც ჩვეულებრივ არსებობენ მრავალი შინაური და ველური, თბილსისხლიანი ცხოველის გასტროინტესტინალურ ტრაქტში.

კამპილობაქტერიოზის არაერთი წყაროა ცნობილი, როგორიცაა: არაპასტერიზებული რძე, შინაური ცხოველები და სხვა. თუმცა, ევროპის სურსათის უვნებლობის ორგანოს (EFSA) მონაცემებით, ევროპაში კამპილობაქტერიოზის 20%-30% ასოცირდება ქათმის ხორცის მოხმარებასთან, ხოლო 50%-80% უკავშირდება ფრინველის რეზერვუარს.

კამპილობაქტერიოზი ძირითადად თვითმილევადი დაავადებაა, თუმცა შემთხვევების მნიშვნელოვანი ნაწილი (31%) საჭიროებს ანტიბიოტიკებით მკურნალობას. დაავადების ტვირთს მნიშვნელოვნად ამძიმებს, კამპილობაქტერიოზისთვის დამახასიათებელი, გახანგძლივებული, აუტოიმუნური სექველა, როგორიცაა: რეაქტიული ართრიტი, გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომი და გინ-ბარეს სინდრომი.

საქართველოში კამპილობაქტერიოზის დიაგნოზირება არ ხდება, რადაგან კლინიკური ლაბორატორიების სტანდარტულ, პროცედურულ, დიაგნოსტიკურ კვლევებში ამ ბაქტერიის იდენტიფიცირება არ ხორციელდება. აქედან გამომდინარე, ქვეყანაში უცნობია კამპილობაქტერიოზის სიხშირე და დაავადების ტვირთი. მაშინ როცა, საგანგაშოდ

მაღალია „სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეებსა“ და „სავარაუდო სურსათისმიერი მოშხამვების“ სტატისტიკა, განსაკუთრებით კი - ბავშვთა პოპულაციაში.

მსოფლიოში ბაქტერიების მულტირეზისტენტული შტამების აღმოცენება და გავრცელება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. ევროკავშირის ბევრ ქვეყანაში დაფიქსირებულია მეხორცული მიმართულების ქათმებში (ბროილერში) და ადამიანის ნიმუშებიდან გამოყოფილი *C.jejuni*-ის იზოლატებში რეზისტენტობის ზრდა ტეტრაციკლინისა და ციპროფლოქსაცინის მიმართ.

საქართველოში ანტიმიკრობული რეზისტენტობის (ამრ) ზედამხედველობის მონაცემები საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემაში მწირია, ხოლო სურსათის წარმოებისა და ვეტერინარიის სექტორებში თითქმის არ არსებობს.

წარმოდგენილი სადისერტაციო შრომის მიზანია, განსაზღვროს კამპილობაქტერიოზის ტვირთი გასტროენტერიტული ინფექციით ჰოსპიტალიზირებულ ბავშვებში, გამოავლინოს მისი სიხშირე და ეპიდემიოლოგიური ტრენდი სხვა ნაწლავურ ინფექციებთან მიმართებით და შეისწავლოს ადამიანისა და ფრინველის ნიმუშებიდან იზოლირებული *Campylobacter* spp.-ის ქართული შტამების ანტიბიოტიკური რეზისტენტობა და ფილოგენეტიკური მრავალფეროვნება.

კვლევის მეთოდოლოგია

ეთიკური დასკვნა - სადისერტაციო ნაშრომის კლინიკური კვლევის კომპონენტზე ეთიკური დასკვნა წარმოადგინა „თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს“ სამედიცინო ეთიკის კომისიამ (15.06.2020), ხოლო დკსჯ - კვლევის ეთიკის საბჭომ მოახდინა პროექტის კვლევის პროტოკოლისა და სხვა სათანადო დოკუმენტაციის შეფასება და დაასკვნა, რომ კვლევის პროტოკოლის მიხედვით საკვლევი პირების უფლებები და კეთილდღეობა ადექვატურად იყო დაცული (28.12.2021).

კვლევის დიზაინი - 2020 წლის ივნისიდან 2021 წლის სექტემბრის ჩათვლით „თბილისის ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოდან“ და დკსჯ-ს დაავადებათა ეპიდზედამხედველობის სისტემის მეშვეობით შეგროვდა ადამიანის 481 ფეკალური ნიმუში საქართველოს ოთხი დიდი ქალაქიდან: თბილისი - 405, ბათუმი – 49, ქუთაისი - 25 და გორი - 2. კვლევის შერჩევაში მოყვნენ ჰოსპიტალიზირებული, ბავშვთა ასაკის პაციენტები მწვავე, ანთებითი დიარეით, რომელებსაც აღენიშნებოდათ შემდეგი სიმპტომები: ცხელება მუცლის სპაზმით, ღამის დიარეა, ლეიკოციტები განავალში, მწვავე სისხლიანი დიარეა ან ჰემოგლობინზე დადებითი განავალი.

აღნიშნული პაციენტების ნიმუშების ტესტირება, ბაქტერიოლოგიური მეთოდით, ხორციელდებოდა კლინიკების ლაბორატორიებში სხვა ენეტეროპათოგენებზე. ბათუმის, ქუთაისისა და გორის საყრდენი სადგურები, *Campylobacter* spp.-ის ბაქტერიული მეთოდით კვლევისთვის აგზავნიდნენ მხოლოდ იმ ნიმუშებს, რომლებშიც ვერ ხდებოდა ეტიოლოგიური აგენტის იდენტიფიცირება, ხოლო „თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური

საავადმყოფოდან“ იგზავნებოდა კვლევის შერჩევის კრიტერიუმში მოხვედრილი ყველა პაციენტის ნიმუში. წარმოდგენილ სადოქტორო ნაშრომში გამოყენებულია აღნიშნული კლინიკის ლაბორატორიის მიერ *Salmonella* spp. და *Shigella* spp.-ს კვლევის შედეგები და პაციენტთა მეტა მონაცემები.

ნაშრომში ასევე წარმოდგენილია *Campylobacter* spp. კვლევა ფრინველის ნიმუშებში. რისთვისაც 2020 წლის თებერვლიდან 2021 წლის სექტემბერამდე: თბილისის, დიღმის ცოცხალ ცხოველების ბაზარის“ სასკლაოზე შეგროვდა ქათმის ბრმა ნაწლავის 110 ნიმუში (შემდგომში „ოჯახური“ ქათმის ნიმუში) და აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე, საშუალო ზომის მეფრინველეობის ფერმიდან 50 ნიმუში (ე.წ. „ინდუსტრიული“ ქათმის ნიმუში). აღსანიშნავია, რომ კვლევის ფარგლებში შეგროვებული ადამიანისა და ფრინველის ნიმუშები კორელაციაში იყო ერთმანეთთან პერიოდისა და ლოკაციის მიხედვით.

კლინიკური ნიმუშების ტრანსპორტირება ხორციელდებოდა აღებიდან არაუმეტეს 24 საათში, უმეტესად ქერი-ბლეერის სატრანსპორტო ნიადაგით, 4-6◦C-ზე, ხოლო ფრინველის ნიმუშები გადაიტანებოდა ყინულით კონტეინერებში და იტესტებოდა არაუმეტეს 3-6 საათის განმავლობაში.

***Campylobacter* spp.-ს იზოლირება და იდენტიფიცირება** განხორციელდა ISO 10272-1:2017 ნაწილი C-ის შესაბამისად „მოდიფიცირებულ ნახშირის, ცეფოპერაზონის, დეოქსიქრორიდის სელექტიურ აგარზე (mCCDA), ხოლო კლინიკური ნიმუშებისთვის მეორე სელექტიურ ნიადაგად გამოყენებოდა CROMagar *Campylobacter*. ნიმუშების 20%-ის დაექვემდებარა „პრესტონის ბულიონში“ (Preston broth) გამდიდრებას. ფინჯნების ინკუბირება განხორციელდა 42°C-

ზე, მიკრო-ანაერობულ გარემოში (O2-5%, CO2 -15%, N2 -80%) 48 საათის განმავლობაში. საეჭვო კოლონიის ნაცხის პრეპარატის გრამის მეთოდით შეღებვის შემდგომ ვახდენდით მის მიკროსკოპირებას. დამატებით, *Campylobacter* spp.-ის საეჭვო კოლონიების დადასტურებას ვახდენდით ბიომერიქსის აპი-კამპის ბიოქიმიური სისტემის ტესტების სისტემით (Biomerieux system ApiCampy). *Campylobacter* spp.-ის იზოლირებული კოლონიების შენახვა ხორციელდებოდა კრიო სინჯარებში 10%-იანი გლიცერინ-ბრუცელას ბულიონში – 80°C-ზე შემდგომი კვლევებისთვის.

***Campylobacter* spp.-ს სახეობრივი დიფერენცირება და დადასტურება რეალურ დროში პოლიმერაზა ჯაჭვური რეაქციით (Real-Time PCR).** საქართველოში იზოლირებული *Campylobacter* spp.-ს 220 შტამის, რომელთაგანაც 60 იყო იზოლირებული პაციენტთა ნიმუშებიდან და 160 ფრინველის ბრმა ნაწლავის შიგთავისიდან, შემდგომი კვლევა გაგრძელდა გერმანიის რისკის შეფასების ფედერალური ინსტიტუტის კამპილობაქტერიის რეფერალურ ლაბორატორიაში (BfR NRL- *Campylobacter*).

Campylobacter spp. იზოლანტების სახეობრივი დიფერენცირება განხორციელდა RT-PCR მეთოდით. რისთვისაც, დნმ-ის ექსტრაქციისთვის იზოლატების უჯრედული მასის რესუსპენზირებას ვახდენდით 5%-იან Chelex 100 resin. მიღებული სუსპენზიის თერმულ ლიზისს ვახორციელებდით 95°C ზე 15 წუთის განმავლობაში და შემდგომ ვაცენტრიფუგებდით 5 წთ. (14,000 × g). მიღებული ბაქტერიული დნმ-ის შემცველი 2.5 მკლ ნალექს, 1:100 განზავებით, ვიყენებდით შემდგომი PCR ანალიზისთვის.

RT-PCR რეაქციაში გამოყენებული ოლიგოების საბოლოო კონცენტრაცია იყო 300 nM, 100 nM ფლუორესცენტრული

მუქი-ქვენჩერ პრობები და 1U Platinum Taq დნმ პოლიმერაზა; რეაქციაში გამოყენებული იყო ფლუორესცენტული საღებავების კომბინაცია FAM *C. jejuni-ის map*A-სთვის და, JOE *C. coli-ის ceu*E -თვის და Cy5 *C. lari*-ის *gyr*A-სთვის, ხოლო ამპლიფიკაციის კონტროლად ემატებოდა IPC-ntb2 პლაზმიდის 25 ასლი.

***Campylobacter* spp.-ს ანტიმიკრობული მგრძნობელობის ტესტირებისთვის (ამრ)** - *Campylobacter* spp.-ის სუფთა კულტურებიდან ვამზადებდით სუსპენზიას 2–8 × 10^5 კოლონიის წარმომქმნელი ერთეული/მლ-ში და კათიონით კორექტირებულ მიულერ ჰილტონის ბულიონში (Cation-supplemented Mueller–Hinton broth), რომელსაც დამატებული ჰქონდა 5% ხბოს ჩანასახის შრატი. MIC-ები დეტერმირებული იყო ევროპულ, სტანდარტიზებულ, მიკროტიტრული ფირფიტის ფორმატში EUCAMP3. ტესტირებაში გამოყენებული იყო ეპიდემიოლოგიური ზღვრული სიდიდეები (ECOFFs), რომელიც დადგენილია ანტიმიკრობული მგძნობელობის ტესტირების ევროპული კომიტეტის მიერ (https://mic.eucast.org/Eucast2). *Campylobacter* spp. - სთვის ECOFFs არის შემდეგი: 16 mg/mL (CHL), 0.5 mg/mL (CIP), 0.5 mg/mL (ETP) და 2 mg/mL (GEN). ERY და TET სთვის სახეობებითვის სპეციფიური ECOFFs იქნა მიჩნეული, კერძოდ *C. jejuni* 4 mg/mL (ERY) და 1 mg/mL (TET), ხოლო *C. coli-სთვის* 8 mg/mL (ERY) და 2 mg/mL (TET). ინოკულირებული ფირფიტების ინკუბირება ხორციელდებოდა 44 ± 4 სთ, 37ºC-ზე მიკროაერობულ გარემოში. MIC-ები (mg/L) გაანალიზება ხდებოდა ნახევრადავტომატური მოწყობილობით (Sensititre Vizion system).

***Campylobacter* spp.-ს შტამების სრული გენომის სექვენირება (WGS).** 12-18 - საათიანი კულტურებიდან გემონური დნმ-ის ექსტრაქცია ხორციელდებოდა PureLink Genomic DNA Mini Kit გამოყენებით. დნმ რაოდენობრივი შეფასება ხდებოდა ფლუორიმეტრიულად Qubit 3.0 Fluorometer-ით (dsDNA HS Assay Kit 0.2–100 ng), ხოლო ხარისხობრივი სპექტრული ანალიზით (NanoDrop Spectrophotometer). ტესტისთვის დნმ-ის ბიბლიოთეკა მომზადდა Illumina DNA Prep, (M) Tagmentation Kit-ით მწარმოებლის ინსტრუქციის შესაბამისად, ყველა რეაგენტის მოცულობების განახევრებით. დაწყვილებული ბოლოების (paired-ended) სექვენირება განხორციელდა Illumina MiSeq სისტემაზე (2x151 ციკლი) MiSeq Reagent Kit v3 (600 ციკლი) გამოყენებით. პირველადი მონაცემების დამუშავება და de-novo აწყობა მოხდა AQUAMIS პაიპლაინის v1.3.8 საშუალებით. აწყობილი გენომის კონტიგების ხარისხი ავტომატურად შეფასდა teQuilR შიდა პაიპლაინით.

ნუკლეოტიდური თანმიმდევრობები გამოქვეყნდა NCBI ბაზაში. ფილოგენეტიკური ანალიზის შესასრულებლად გამოყენებულ იქნა Ridom Seqsphere+ v8.2.0. cgMLST სქემით აწყობილი გენომის კონტიგების წინასწარ განსაზღვრულ 1343 სამიზნე გენზე 98%-იანი იდენტობითა და რეფერენტული თანმიმდევრობის NC_002163.1.gb ერთ-ერთ ალელთან (*C. jejuni* NCTC 11168) 98% დაფარვით. მინიმუმ 95% „კარგი სამიზნეები“ იქნა ნაპოვნი cgMLST-ზე დაფუძნებული ანალიზისთვის წინასწარ შეთავაზებული cgMLST სქემით.

ანტიმიკრობული რეზისტენტობის დეტერმინანტებისა და პლაზმიდური მარკერების პროგნოზირება აწყობილი გენომის კონტიგებში განხორციელდა BakCharak პაიპლაინით v2.0. პაიპლაინის ინსტრუმენტები მოიცავდა: ABRicate v1.0.1,

AMRFinderPlus v3.6.15-ს და მასთან დაკავშირებულ მონაცემთა ბაზას, აგრეთვე ანტიმიკრობული პრეპარატების მიმართ რეზისტენტობის დეტერმინანტებს, პლაზმიდების პროგნოზირებისთვის Platon v1.1.0-ს და პლაზმიდურ blaster ინსტრუმენტს. BLAST შედეგები გაიფილტრა კონტიგის სიგრძის სულ მცირე 20%-იანი დაფარვით.

შედეგების სტატისტიკური ანალიზი - განხორციელდა SPSS 21.0 ვერსიის გამოყენებით. სარწმუნოობის 95%-იანი ინტერვალები განისაზღვრა *Campylobacter* spp.-ს სიხშირის პროცენტული მაჩვენებლებისათვის. აგრეთვე, სტატისტიკურად გაანალიზდა თბილისის კლინიკური ნიმუშების კვლევის შედეგები. კერძოდ, სამი პათოგენიდან თითოეულით ინფიცირების კავშირი პაციენტთა ასაკობრივი ჯგუფების კატეგორიებთან შეფასდა მან-უიტნის U (Mann–Whitney U) ტესტის გამოყენებით. გარდა ამისა, შანსის შეფარდება (Odds Ratio (OR) გამოვითვალეთ კვლევაში არსებული ორი სხვადასხვა სელექტიური ნიადაგის გამოყენებასა და მიკროორგანიზმის ზრდის მაჩვენებლებს შორის სტატისტიკურად სარწმუნო ასოცირების ჰიპოთეზის შესამოწმებლად.

Campylobacter spp. შტამების ანტიბიოტიკური რეზისტენტობის ანალიზის შედეგების სტატისტიკური ანალიზისთვის ECOFFs მაჩვენებლების მიხედვით მოხდა შტამების კატეგორიზაცია მგძნობიარე და რეზისტენტულ ფორმებად დამოკიდებული ცვლადის დიქოტომიზაციით - „რეზისტენტული vs. მგძნობიარე (რეფერენტული [reference] კატეგორია)". ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობის საფუძველზე შემუშავდა დამატებითი გამოსავალი ცვლადი კატეგორიებით „2-3-ჯერადი რეზისტენტობა".

ტეტრაციკლინის მიმართ რეზისტენტულობასა (დამოკიდებული ცვლადი) და სავარაუდო პრედიქტორებს (მატრიქსის წყაროს ცვლადები (ადამიანი vs. ქათამი (რეფერენტული [reference] კატეგორია) და ბაქტერიის სახეობებისთვის (*C. coli vs. C. jejuni* (რეფერენტული [reference] კატეგორია) შორის კავშირის დეტექციისათვის მრავლობითი ლოგისტიკური რეგრესია, ხოლო დამოუკიდებელი პრედიქტორული მოდელის შესაქმნელად ფორვარდერი შერჩევის მეთოდი (Forward selection (Forward LR [Likelihood Ratio]) method) გამოვიყენეთ. გამოვითვალეთ ნაგელკერკის ფსევდო R კვადრატი (Nagelkerke pseudo R Square) და არასტანდარტული ბეტა კოეფიციენტი (B). შანსის შეფარდება 95%-იანი სარწმუნოობის ინტერვალით შეფასდა, როგორც B კოეფიციენტის ექსპონენციალური ფუნქცია (Exp [B]). ყველა სტატისტიკურ ანალიზში ნულოვანი ჰიპოთეზის მართებულობის ალბათობა <5%-ზე ($p<0.05$) მიჩნეულია სტატისტიკურად სარწმუნოდ.

<u>კვლევის შედეგები და მათი ანალიზი</u>

კამპილობაქტერიოზის წილი დაუდგენელი ეტიოლოგიის, ბაქტერიული დიარეული ინფექციით ჰოსპიტალიზირებულ ბავშვებში საქართველოში - წარმოდგენილი სადოქტორო კვლევის ფარგლებში ჩვენ შევეცადეთ დაგვედგინა კამპილობაქტერიოზის სიხშირე „დაუდგენელი ეტიოლოგიის“, ბაქტერიული, დიარეული დაავადებით ჰოსპიტალიზირებულ ბავშვებში, საქართველოს სამი დიდი ქალაქის მონაცემებით. შედეგად 378 „დაუდგენელი ეტიოლოგიის“ ნიმუშიდან 16.6% (95%CI[13.05, 20.8] (n=63)) აღმოჩნდა დადებითი *Campylobacter* spp.-ზე. ამასთან, თბილისში კამპილობაქტერიოზის სიხშირე იყო 17.2 %

(95%CI[13.1, 21.9] (n=302/52)), ბათუმში 16.3% (95%CI[7.3, 29.7] (n=49/8)) და ქუთაისში 12% (95%CI[2.5, 31.2] (n=25/3)).

გარდა ამისა, 2020 ივლისიდან 2021 ივლისამდე (1 წლის განმავლობაში) „თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოდან“ შემოსული 382 ნიმუშის საფუძველზე, ჩვენ შევეცადეთ შეგვედარებინა სამი ენტეროპათოგენის (*Campylobacter* spp., *Salmonella* spp. *Shigella* spp.) სიხშირეები საკვლევ პოპულაციაში და გაგვეანალიზებინა ამ პათოგენებით ინფიცირებულ პაციენტთა ასაკობრივი განაწილება და მათი სეზონურობა თბილისში.

382 ფეკალის ნიმუშიდან, 139 ნიმუში (36.4%) დადებითი იყო სამიდან რომელიმე სამიზნე პათოგენზე. ნიმუშებში არცერთი შერეული ინფექცია არ აღმოჩნდა. საკვლევ პოპულაციაში ენტეროპათოგენურ ბაქტერიებს შორის ყველაზე ხშირი იყო *Shigella sonnei* (19.1% (95%CI[15.2, 23.4] n=73), სიხშირით მეორე იყო თერმოფილური *Campylobacter* spp. (12.3% (95%CI[9.2, 16.0] n=47) და ბოლოს, *Salmonella* spp. (4.9% (95%CI[3.0, 7.6] n=19). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შემთხვევათა ნახევარზე მეტში 63.6% (n=243), ეტიოლოგიური აგენტის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა.

საკვლევ ჯგუფში მოხვდვენენ პაციენტები მწვავე ჰემოკოლიტით, სისხლიანი დიარეითა და ცხელებით, ან გახანგრძლივებული წყლიან/ლორწოვანი დიარეით. დაავადების სიმპტომების გამოვლენიდან ჰოსპიტალიზაცამდე დრო საშუალოდ შეადგენდა 5 დღეს. პაციენტთა სქესობრივი განაწილება იყო თითქმის თანაბარი: მდედრობითი 55% (n=26) და მამრობითი 45% (n=21). მათი ასაკი მერყეობდა 2 თვიდან 211 თვემდე (17 წელი) და მედიანური ასაკი იყო 52 თვე. ლაბორატორიულად

დადასტურებული დიაგნოზის მქონე პაციენტების მედიანური ასაკი კი 71 თვეს შეადგენდა. აქვე აღსანიშნავია, რომ პაციენტების 32 % იყო 2 წლამდე ასაკის და 61% იყო სკოლამდელი ასაკის ბავშვი.

აღსანიშნავია, რომ *Campylobacter* spp. ინფექციის მქონე პაციენტთა ასაკობრივი განაწილება (მედიანური ასაკი 40 თვე (IQR)22–95) მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა *Shigella sonnei*-ით ინფიცირებული პაციენტების მედიანურ ასაკისგან (მედიანა 92 თვე (IQR) 52–140)), რაც სტატისტიკურად დაადასტურა მან-უიტნის ტესტმაც, სადაც U=994 და p<0.001. თუმცა მსგავსი სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება ვერ გამოვლინდა კამპილობაქტერიოზით დაავადებული პაციენტების ასაკსა და სალმონელოზის დიაგნოზის მქონე ბავშვთა ასაკს შორის. გამომდინარე იქიდან, რომ კვლევის დიაპაზონი მოიცავდა წელიწადის ყველა სეზონს, შევეცადეთ გაგვეანალიზებინა სამივე ინფექციის სიხშირეების სეზონურობა. როგორც ცნობილია, ნაწლავურ ინფექციებს ახასიათებს მკვეთრად გამოსახული სეზონურობა, თუმცა ჩვენს კვლევაში მკვეთრი სეზონურობის ტენდენცია არ გამოვლინდა.

ეპიდემიოლოგიური პირამიდის მეთოდით მოვახდინეთ კვლევის შედეგების თბილისის ბავშვთა პოპულაციაზე ექსტრაპოლაცია, რათა შგვეფასებინა სამიზნე პოპულაციაში კამპილობაქტერიოზის სავარაუდო ინციდენტობა. ეპიდემიოლოგიურ პირამიდაში განისაზღვრა მონაცემთა კორექტირების 5 დონე. თითოეულ დონეზე ლიტერატურული წყაროებიდან ან/და სტატისტიკური ინფორმაციიდან გამოვთვალეთ შესაბამისი კოეფიციენტი, იგივე მულტიპლიკატორული ფაქტორები (MFs).



გრაფიკი 1. ეპიდემიოლოგიური პირამიდა - კამპილობაქტერიოზის სავარაუდო ტვირთი თბილისის ბავშვთა პოპულაციაზე.

○ პირამიდის ფუძეს, ქმნის კამპილობაქტერიოზის სიმპტომური შემთხვევების წილი, რომელიც პაციენტების დაახლოებით 50%-ში მიმდინარეობს. შედეგად MF=2 (100/50=2);

○ კამპილობაქტერიოზის ჰოსპიტალიზაციის ინდექსის გამოთვლა მოხდა ლიტერატურულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელთა თანახმადაც ევროპულ ქვეყნებში კამპილობაქტერიოზის დიაგნოზით ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი არის 33.9%, შედეგად MF = 2.95;

○ „თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოში“ პაციენტების ჰოსპიტალიზირების პროცენტული წილი არის 80%, რასაც შეესაბამება MF =1.25;

○ კვლევის პერიოდში (2020 ივლისიდან 2021 ივლისამდე), კლინიკაში სულ ჰოსპიტალიზირებული იყო 1450 პაციენტი, კვლევაში მოხვდა 382 პაციენტის ნიმუში, ანუ 26%, შედეგად ვიღებთ კოეფიციენტს MF=3,8;

○ *Campylobacter* spp.-ს დეტექციის მიზნით გამოყენებული ტესტირების მეთოდის მგძნობელობის მედიანური

მაჩვენებელი არ აღემატება 76%, MF 1.32;

○ ეპიდემიოგიური პირამიდის წვერი შეესაბამება ინფექციის ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევებს. ეს მაჩვენებელი იყო *Campylobacter* spp.-ს დადებითი შემთხვევების რიცხვი - 47.

ეპიდემიოლოგიურ პირამიდაში ხუთივე დონეზე დადგენილი კოეფიციენტების გამოყენებით (MFs=2*2.95*1.25*3.8*1.32=37) დადგინდა, რომ თბილისის ბავშვთა პოპულაციაში კამპილობაქტერიოზის „ნამდვილი შემთხვევები“, სავარაუდოდ, შეიძლება იყოს დაახლოებით 1800 წელიწადში. თუ გავითვალისწინებთ, რომ 2020 წელს თბილისში ბავშვთა საერთო რაოდენობა იყო 283 400, ეს მაჩვენებელი შეესაბამება 1:1500 შემთხვევას წელიწადში, ანუ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ მეთოდით გამოთვლილი სავარაუდო ინციდენტობა 6-ია 1000 ბავშვიდან.

***Campylobacter* spp.-ის ქართული შტამების დადასტურება და სახეობრივი დიფერენცირება მოვახდინეთ RT-PCR მეთოდით.** საქართველოში იზოლირებული *Campylobacter* spp.-ის 220 შტამის, საიდანაც 60 იყო კლინიკური ნიმუშებიდან, ხოლო 110 „ოჯახური“ და 50 „ინდუსტრიული“ ქათმის ნიმუშებიდან, კვლევა გაგრძელდა გერმანიის რისკის შეფასების ფედერალური ინსტიტუტის, კამპილობაქტერიის რეფერალურ ლაბორატორიაში (BfR NRL-*Campylobacter*). ტრასპორტირების შემდეგ მოხერხდა 220 დან 92%-ის (n=204) რეკულტივირება. 16 ინოკულუმიდან, საიდანაც ბაქტერიის კულტურა ვეღარ მოვიღეთ, გენეტიკური კვლევა განხორციელდა PCR მეთოდით, უშუალოდ ბულიონში შენახული ბაქტერიულ მასალაზე. შედეგად, 12 მათგანში აღმოჩნდა *C. coli* (n=4/12) ან *C. jejuni* (n=3/12), ხოლო ხუთი იყო შერეული კულტურა 41% (n=5/12).

RT-PCR მეთოდით მოვახდინეთ საქართველოში იზოლირებული *Campylobacter* spp.-ის 204 შტამის სახეობრივი დიფერენცირება. შედეგები განაწილდა შემდეგნაირად: 37.7% (n=77) იდენტიფიცირებული იყო როგორც *C. jejuni* და 62.3% (n=127) როგორც *C. coli*. ამასთან, განსხვავებული იყო სახეობრივი შედგენილობა სხვადასხვა მატრიქსებში, კერძოდ ბავშვების ფეკალებიდან გამოყოფილ კლინიკურ ნიმუშებში დომინირებდა *C. jejuni*-ᲗᲐ 82.5% (n=47/57), შესაბამისად, *C. coli* იყო 17.5% (n=10/57); მაშინ როცა, ფრინველის იზოლანტებში დომინანტური სახეობა იყო *C. coli*: „ოჯახური“ ქათმის იზოლატებში ის შეადგენდა 74.2% (n=72/97), ხოლო „ინდუსტრიული“ ქათმის ბრმა ნაწლავის იზოლანტებში *C. coli* 90% (n=45/50) *და C. jejuni* იყო მხოლოდ 10% (n=5/50).

საქართველოში გამოყოფილი *Campylobacter* spp.-ის შტამების ანტიმიკრობული რეზისტენტობის კვლევა სამი სხვადასხვა მატრიქსიდან („ოჯახური ქათმის“, „ინდუსტრიული ქათმისა“ და ადამიანის ფეკალებიდან) იზოლირებულ *C. jejuni*-სა და *C. coli* შტამების განხორციელდა 6 ანტიბიოტიკურ პრეპარატზე. ორივე, როგორც კლინიკურ ასევე ფრინველის იზოლანტებში გამოვლინდა მაღალი რეზისტენტობა ციპროფლოქსაცინისა და ტეტრაციკლინის მიმართ, ხოლო გენტამიცინის, ერითრომიცინისა და ქლორამფენიკოლის მიმართ ყველა ტესტირებული შტამი იყო მგძნობიარე.

ცხრილი 1. სამი სხვადასხვა მატრიქსიდან („ოჯახური ქათმის“, „ინდუსტრიული ქათმისა“ და ადამიანის ფეკალებიდან) იზოლირებული *Campylobacter jejuni* და *Campylobacter coli* შტამების ანტიმიკრობული მგრძნობელობის კვლევის შედეგები.

ანტიბიოტიკი	ECOFF (μg/ml) (R>)		რეზისტენტული შტამების რაოდენობა და (%)							
			„ოჯახური“ ქათამი (n = 97)		„ინდუსტრიული“ ქათამი (n = 50)		კლინიკური (n = 57)		Total (n = 204)	
	C.jejuni	*C.coli*	*C.jejuni* (n = 25)	*C.coli* (n = 72)	*C.jejuni* (n = 5)	*C.coli* (n = 45)	*C.jejuni* (n =47)	*C.coli* (n =10)	*C.jejuni* (n =77)	*C. coli* (n =127)
ქლორამფენიკოლი	16	16	0	0	0	0	0	0	0	0
ციპროფლოქსაცინი	0.5	0.5	20 (80%)	69 (96%)	5 (100%)	45 (100%)	41 (87%)	9 (90%)	66 (86%)	123 (97%)
ერითრომიცინი	4	8	0	0	0	0	0	0	0	0
ერტაპენემი	0.5	0.5	0	27 (37%)	0	37 (82%)	0	6 (60%)	0	70
გენტამიცინის	1	1	0	0	0	0	0	0	0	0
ტეტრაციკლინი	1	2	18 (72%)	52 (72%)	4 (80%)	45 (100%)	17 (36%)	8 (80%)	39 (51%)	105 (83%)

ცხრილის განმარტება: ECOFF, ეპიდემიოლოგიური ზღვრული სიდიდები, რომლებიც განსაზღვრავს ანტიმიკრობული ნივთიერებების მიმართ რეზისტენტობას (www.EUCAST.org); R>, მგრძნობელობის მაქსიმალური კონცენტრაცია (MIC); ნებისმიერი MIC, რომელიც აღემატება ამ კონცენტრაციას განისაზღვრება, როგორც რეზისტენტული. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ECOFF ერითრომიცინისთვის და ტეტრაციკლინისთვის განსხვავდება Campylobacter-ის სახეობებისთვის. n, ტესტირებული იზოლატების რაოდენობა; ცხრილში რიცხვები აბსოლიტურ სიდიდეებშია და ასახავს რეზისტენტული იზოლატების რაოდენობას; ფრჩხილებში, რეზისტენტული იზოლატების პროცენტული მაჩვენებლები.

ერტაპენემისთვის, როგორც ადამიანის, ასევე ფრინველის *C. coli*-ს შტამებმა აჩვენეს სხვადასხვა პროცენტით რეზისტენტობა. „ოჯახური“ ქათმის შტამების - 37%, „ინდუსტრიულის“ 82% და კლინკურის 60%. ამასთან, ერტაპენემის მიმართ რეზისტენტული *C. coli*-ს შორის, რეზისტენტობის დადგენილი ზღვარს ზემოთ, MIC 1 მკგ/მლ მნიშვნელობის იყო 89% (n=62), შტამების 10%-ში (n=7) MIC=2 მკგ/მლ და ერთ შტამს ჰქონდა MIC მნიშვნელობა 4 მკგ/მლ. ერტაპენემის მიმართ რეზისტენტული შტამებიდან MIC ≥2 მკგ/მლ მნიშვნელობებით იყო „კლინიკური“ ნიმუშებიდან სამი შტამი, „ოჯახური“ ქათმის ნიმუშებიდან იზოლირებული ოთხი და „ინდუსტრიული“ ქათმისგან იზოლირებული ერთი შტამი. რაც შეეხება, *C. jejuni*-ის

შტამებს, ისინი სრულად მგრძნობიარე იყო ერტაპენემის მიმართ.

მთლიანობაში, *C.coli*-ს იზოლატები იყო ნაკლებად „სრულად მგრძნობიარე“ (3/127, 2,4%) ყველა ანტიბიოტიკური საშუალების მიმართ, ვიდრე *C. jejuni*-ს (9/77, 7%). აქედან „ოჯახური“ ქათმისგან და კლინიკური ნიმუშებიდან იზოლირებული 6-6 შტამი იყო სრულად მგძნობიარე ყველა ტესტირებული ანტიბიოტიკური პრეპარატის მიმართ, მაშინ როცა „ინდუსტრიული“ ფრინველიდან იზოლირებული არც ერთი შტამი არ იყო „სრულად მგძნობიარე“.

საქართველოში იზოლირებული *Campylobacter* spp.-ის შტამების ანტიმიკრობული საშუალებების მიმართ რეზისტენტობის ტესტირების შედეგების სტატისტიკური ანალიზით გამოვლინდა, რომ ციპროფლოქსაცინისა (OR = 5.1 CI 95% [1.6, 16.7]), და ტეტრაციკლინის (OR = 4,6 CI 95% [2.5, 8.8]) მიმართ რეზისტენტობის შანსი *C. coli*-ის უფრო მაღალი იყო, ვიდრე *C. jejuni*-ს. ამასთან, კლინიკური ნიმუშების იზოლატები უფრო ნაკლებად რეზისტენტულია ტეტრაციკლინის მიმართ, ვიდრე ფრინველის ნიმუშების იზოლანტები (OR=0.18 CI 95% [0.1, 0.4]). ციპროფლოქსაცინის მიმართ კი, ადამიანისა და ფრინველის შტამების რეზისტენტობას შორის, სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება არ გამოვლინდა.

საერთო ჯამში, *C. coli*-ს ორი ან მეტი ანტიბიოტიკის მიმართ რეზისტენტობის 18.5-ჯერ მეტი შანსი აქვს ვიდრე *C. jejuni* -ს (OR 18.5 (95%CI [7.7, 44.8]). იგივე შეინიშნებოდა კლინიკურ შტამებშიც, სადაც *C. coli*-მ ორი ან მეტი ანტიმიკრობული საშუალებების მიმართ რეზისტენტობის 17.4-ჯერ მეტი შანსი აჩვენა *C. jejuni*-სთან შედარებით (OR 17.4 (95%CI [2.03,

150.1]); რაც შეეხება ფრინველის ნიმუშებს, *C. coli*-ს შემთხვევაში ორ ან მეტ ანტიბიოტიკზე რეზისტენტობის შანსი 7.9-ჯერ მეტია, ვიდრე *C. jejuni*-ს ანალოგიური მაჩვენებლები (OR 7.5 (95% CI [2.6, 24.6]).

C.jejuni-ის შტამებში მულტირეზისტენტობის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ასოციაცია გამოვლინდა იზოლაციის წყაროსთან. კერძოდ, რეზისტენტობის შანსი ორი ან მეტი ანტიბიოტიკის მიმართ *C. jejuni*-ის ქათმის იზოლატებში 4,5-ჯერ მეტი იყო ადამიანის ნიმუშებიდან გამოყოფილ შტამებთან შედარებით (OR 4.5, 95% CI[1.7, 12.1]).

კამპილობაქტერიის სახეობები და სახვადასხვა მატრიქსის იზოლატები, როგორც დამოკიდებული ცვლადები, დაექვემდებარა ლოგისტიკური რეგრესიის ანალიზს ორი ან მეტი ანტიმიკრობული საშუალებისადმი რეზისტენტობის კავშირის შესამოწმებლად. ორივე ცვლადი შენარჩუნდა რეგრესიის საბოლოო მოდელში, როგორც დამოუკიდებელი ცვლადი. ნაგელკერკეს (Nagelkerkes) ფსევდო R კვადრატი იყო 0,435. რაც მიუთითებს, რომ დამოკიდებული ცვლადების ვარაიბელობის 43%-ზე მეტი განპირობებულია დამოუკიდებელი ცვლადების მოდელით.

ანალოგიურად, მრავლობითი ლოგისტიკური რეგრესიით გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი პრედიქტორულ მოდელსა (კამპილობაქტერიის სახეობები და სახვადასხვა მატრიქსის იზოლატები) და ტეტრაციკლინის რეზისტენტობას შორის. ორივე ცვლადი შენარჩუნდა საბოლოო მოდელში, როგორც დამოუკიდებელი პრედიქტორები. ნაგელკერკეს (Nagelkerkes) ფსევდო R კვადრატის მიხედვით 0,204 მიუთითებს, რომ, რეგრესიის მოდელით შესაძლებელია აიხსნას დამოკიდებული

ცვლადის (ტეტრაციკლინის მიმართ რეზისტენტობა) ვარიბელობის 20%-ზე მეტი.

***Campylobacter* spp. ქართული შტამების ფილოგენეტიკური მრავალფეროვანების** შესასწავლად გავაანალიზეთ *Campylobacter*-ის ორმოცი შტამის სრული გენომური სექვენსები (WGS). აქედან ოცი შტამი იყო ფრინველის, ხოლო დანარჩენი ოცი ადამიანის ნიმუშებიდან; ათ-ათი *C. jejuni* და *C. coli* თითოეული მატრიქსიდან. ფრინველის იზოლატებში შედიოდა როგორც „ოჯახური“ ქათმის ნიმუშებიდან (n=14), ასევე „ინდუსტრიული“ ქათმებიდან (n=6) გამოყოფილი შტამები. სექვენირების შედეგად მიღებული პირველადი მონაცემების მულტილოკუსური სექვენირებით ტიპირების ფილოგენეტიკური ანალიზით, რომელიც დაფუძნებული იყო 1343 გენურ ალელებზე მივიღეთ მულტი-ლოკუსური სექვენირების ტიპების (ST) დიდი მრავალფეროვნება (n=24). მათ შორის სამი უცნობი შტამი, რომლებსაც ახასიათებდა *unc*A ალელის არსებობა და/ან იყო ახალი ST-ტიპი. *C. jejuni* (n=22) მიეკუთვნა 15 განსხვავებულ ST-ტიპს, ხოლო *C. coli* (n=18) 9 სხვადასხვა ST-ტიპს. ყველაზე ხშირი ST-ტიპები იყო: ST-855 (n=6), ST-356 (n=4) და ST-902 (n=3). *C. coli* ST-ტიპების უმრავლესობა დაჯგუფდა საერთო კლონურ კომპლექსში ST-828 (17/18). ახალი ST-ტიპები და მათი შესაბამისი ალელური კომბინაციები განთავსდა PubMLST მონაცემთა ბაზაში.

სექვენირებული შტამების შეზღუდული რაოდენობის მიუხედავად, ჩვენ ვიპოვეთ სამი ახალი სექვენსკლასტერი. ამ კლასტერებიდან ერთ-ერთი (ST-855) მოიცავდა ოთხ უაღრესად მსგავს *C.coli*-ის შტამს, მაქსიმალური ორი cgMLST ალელის განსხვავებებით „ინდუსტრიული“ ქათმის ნიმუშიდან, რომლებიც აღებული იყო 2021 წლის ივნის/ივლისში ფრინველის სამი სხვადახსვა პარტიიიდან.

კიდევ ორი *C. jejuni* კლასტერი, თითოეული ორი შტამით, რომლებიც იდენტიფიცირებულია ადამიანის იზოლატორებს შორის, ეკუთვნოდა ST-356 ტიპს და დაშორებული იყო ერთმანეთისგან 226 ალელის სხვაობით. ამ კლასტერებიდან ერთ-ერთი მოიცავდა 2021 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში ბავშვებისგან იზოლირებულ *C. jejuni*-ს ორ შტამს, რომლებიც შეიცავდნენ იდენტურ cgMLST წყვილებს და მეორე კლასტერი მოიცავდა ბავშვების ნიმუშებიდან იზოლირებულ *C. jejuni*-ს ორ შტამს, გამოყოფილს 2021 წლის ივლისსა და სექტემბერში.

Campylobacter-ის თვრამეტი იზოლატი (45%) ატარებდა პლაზმიდებს, რაც Platon და BLAST ანალიზით NCBI RefSeq პლაზმიდურ მონაცემთა ბაზის გამოყენებით, პროგნოზირებული იყო როგორც ეპიქრომოსომული ელემენტები. ყველა პლაზმიდს ჰქონდა ცნობილ *Campylobacter* spp.-თან ჰომოლოგიის მინიმუმ 20%.

WGS ანალიზმა ასევე გამოავლინა რეზისტენტობის დეტერმინანტი გენები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ფენოტიპური ანალიზით მიღებულ შედეგებზე. კერძოდ, *tet*(O) გენის არსებობა, რაც განაპირობებს ტეტრაციკლინის მიმართ რეზისტენტობას, გამოვლინდა ტეტრაციკლინის მიმართ რეზისტენტულ ყველა შტამში (70%, n=28/40), ხოლო ყველაზე გავრცელებული მუტაცია *gyr*(A) გენში (T86I) იდენტიფიცირებული იყო ციპროფლოქსაცინის მიმართ რეზისტენტული ყველა იზოლატში (90% (n = 36/40)). bla_{OXA-61} ოჯახის გენების არსებობა (OXA-193, OXA-452, OXA-460, OXA-461, OXA-489, OXA-594), რომლებიც განაპირობებენ რეზისტენტობას ბეტა-ლაქტამებს მიმართ დაფიქსირდა 75% (n = 30/40) შტამში. გარდა ამისა, ჩვენ აღმოვაჩინეთ *aadE*-Cc გენი სამ *C.coli*-ში, რომელიც, სავარაუდოდ, ანიჭებს

ბაქტერიას რეზისტენტობას სტრეპტომიცინის მიმართ, მაგრამ ვინაიდან EUCAMP3 ფირფიტა არ შეიცავს სტრეპტომიცინსა და ამპიცილინს ფენოტიპურად მათ მიმართ მგძნობელობა არ შეგვისწავლია. L22 რიბოსომური ცილის 50S_L22_A103V მუტაცია AMRFinder-Plus მონაცემთა ბაზაში განიმარტა, როგორც მაკროლიდების რეზისტენტობის მიმართ სავარაუდო მარკერი. იგი აღმოჩნდა გამოკვლეული შტამების 30%-ში (n=12/37). ყველა იზოლატი მგრძნობიარე იყო ერითრომიცინის მიმართ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერტაპენემის მიმართ რეზისტენტობის გენეტიკური მექანიზმი ჯერ კიდევ უცნობია. Platon-ის პრედიქტორის მიხედვით, რეზისტერნტობის ყველა დეტერმინანტი ლოკალიზებული იყო ქრომოსომაში.

***Campylobacter* spp.-ს სელექტიური ნიადაგების mCCDA და CHROMagar *Campylobacter* -ის** გამოყენებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ნიმუშებიდან *Campylobacter* spp. დეტექციისა და იზოლაციის ალბათობა. კერძოდ, mCCDA ნიადაგზე დადებითი იყო n=28, ხოლო CHROMagar *Campylobacter*-ზე n=39. ამრიგად, 47 დადებითი ნიმუშიდან mCCDA-მ აჩვენა ცრუ უარყოფითი შედეგები ან გადაზრდილი იყო ფონური მიკრობიოტით ნიმუშების 30%-ში (n=12); 7 შემთხვევაში ეს ნიადაგი არ იყო გამოყენებული. მაშინ როდესაც, CHROMagar *Campylobacter* -ისთვის ცრუ უარყოფითი შედეგი მივიღეთ 17%-ში (n=8).

სელექტიური ნიადაგების ეფექტიანობის შედარებამ გამოავლინა შანსის შეფარდება (OR) 1.4, 95% კონფიდენციალობის ინტერვალით (CI) 1.1-დან 1.7-მდე, p=0.038, რაც გამოხატავს CHROMagar *Campylobacter*-ის უკეთეს მოქმედებას mCCDA-სთან შედარებით.

დასკვნები და რეკომენდაციები

- საქართველოში კამპილობაქტერიოზის წილი „დაუდგენელი ეტიოლოგიის“ დიარეებში და მისი ტვირთი ბავშვთა პოპულაციაზე საკმაოდ მაღალია;
- თბილისის მასშტაბით კამპილობაქტერიოზი აღმოჩნდა სიხშირით მეორე ინფექცია დიარეული დაავადებების მქონე ბავშვებში და გასტროენტერიტების გამომწვევი ლიდერი ბაქტერია მცირე ასაკის, სკოლამდელ ბავშვთა პოპულაციაში;
- კვლევის მონაწილეთა ინფიცირების სავარაუდო გზა, გარდა არასათანადოდ მომზადებული ფრინველის ხორცისა, შესაძლოა ყოფილიყო უნებლიე კონტაქტი ცხოველების ფეკალებთან სათამაშო მოედნებზე;
- *Campylobacter* spp.-ით ინფიცირებული ბავშვთა ასაკი აღმოჩნდა სტატიტიკურად სარწმუნოდ ნაკლები შიგელოზის მქონე ბავშვთა ასაკთან შედარებით, მაშინ როცა, ასეთი სარწმუნო ასაკობრივი განსხვავება არ გამოვლინდა კამპილობაქტერიოზისა და სალმონელოზისა და სალმონელოზისა და შიგელოზის დიაგნოზის მქონე პაციენტებს შორის;
- ეპიდემიოლოგიური პირამიდით კამპილობაქტერიოზის შედეგების ექსტრაპოლაციამ თბილისის ბავშვთა პოპულაციაზე დაავადების სავარაუდო ინციდენტობა შეაფასა როგორც 6 შემთხვევა 1000 ბავშვზე წელიწადში. რაც გვაძლევს დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ *Campylobacter* spp. არის ენდემური ინფექციის გამომწვევი აგენტი ქვეყანაში და კამპილობაქტერიოზის წილი დიარეულ დაავადებებში ბავშვთა პოპულაციაში საკმაოდ მაღალია;
- კლინიკურ ნიმუშებში დომინანტური სახეობა აღმოჩნდა *C. jejuni*, მაშინ როცა, ფრინველის იზოლატებში უჩვეულოდ მაღალი იყო *C. coli*-ის სიხშირე. ჩვენი ვარაუდით,

ფრინველის ნიმუშების ინოკულუმების დიდი უმრავლესობა თავიდანვე შეიცავდა *Campylobacter* spp.-ის ორივე სახეობას, ხოლო ტრანსპორტირებისა და რეკულტივირების შემდეგ *C. coli*-ის უკეთესი გადარჩენისა და ზრდის უნარის გამო იგი აღმოჩნდა დომინანტური სახეობა კვლევის შედეგებში;

- *Campylobacter* spp.-ის ქართული შტამების ანტიმიკრობული მგძნობელობის პროფილების გაანალიზებით გამოვლინდა, რომ ეროვნულ დონეზე ამრ-ის პრევენციისა და კონტროლის პროგრამების ნაკლებობის მიუხედავად, საქართველოში იზოლირებული *Campylobacter* spp.-ის ამრ პროფილები მეტ-ნაკლებად მსგავსია სხვა ევროპული ქვეყნების მონაცემებისა;
- ადამიანისა და ქათმის ნიმუშებიდან *C. jejuni*-სა და *C. coli-ის* 40 შტამის გენომების სექვენირების შედეგად აღმოჩნდა მულტი-ლოკუსური სექვენირების ტიპების (ST) დიდი მრავალფეროვნება (n=24). მათ შორის სამი უცნობი შტამი. სექვენირებული შტამების შეზღუდული რაოდენობის მიუხედავად, ჩვენ ვიპოვეთ სამი ახალი სექვენს კლასტერი, რაც *Campylobacter* spp.-ს ენდემურ ბუნებაზე მიუთითებს საქართველოში;
- ანტიმიკრობული მგძნობელობის ფენოტიპური კვლევის შედეგები გაამყარა რეზისტენტობის გენეტიკური დეტერმინანტების გამოვლენამ. კერძოდ, *tet*(O) გენი აღმოჩნდა ტეტრაციკლინის მიმართ რეზისტენტულ ყველა შტამში, ხოლო მუტაცია *gyr*(A) გენში (T86I) იდენტიფიცირებული იყო ციპროფლოქსაცინის მიმართ რეზისტენტული ყველა იზოლატში.

- **რეკომენდირებულია განხორციელდეს:**

- კამპილობაქტერიოზის გამომწვევისა (*Campylobacter* spp.) და მისი ანტიბიოტიკური რეზისტენტობის სახელმწიფო მონიტორინგისა და ზედამხედველობის პროგრამები, როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ასევე სურსათის წარმოების სექტორებში;

- *Campylobacter* spp.-ის მიმართ უფრო ფართომასშტაბიანი სამეცნიერო კვლევები, როგორც სურსათის უვნებლობისა და ვეტერინარიის, ასევე საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებზე პასუხის გასაცემად, როგორებიცაა:

  - ✓ კამპილობაქტერიის ინციდენტობის ფართომაშტაბიანი ეპიდემიოლოგიური კვლევა, მოსახლეობის სხვადასხვა ასკობრივ ჯგუფებში;
  - ✓ *Campylobacter* spp.-ს ინფექციის წყაროებისა და ტრანსმისიის გზების კვლევა, მათ შორის, ძუძუთი კვებაზე მყოფ ჩვილებში;
  - ✓ *Campylobacter* spp.-ის მულტირეზისტენტული, ერითრომიცინისა და/ან ციპროფლოქსაცინის მიმართ, ასევე გენტამიცინისა და ერტაპენემის მიმართ რეზისტენტული იზოლატების სრული გენომური სექვენირება; ამრ დეტერმინანტების, მათი გენეტიკური მდებარეობისა და ჰორიზონტალური ტრანსმისიის პოტენციალი განსაზღვრა.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Medical Faculty

Doctoral Education Program in Public Health and Epidemiology

Maia Metreveli

Campylobacteriosis in Hospitalized Children With Gastrointestinal Infection and Colonization of *Campylobacter* spp. in Poultry Flocks

Dissertation Abstract

Submitted in Fulfilment of the Requirements of

Doctor of Public Health and Epidemiology

Scientific supervisor: ***Paata Imnadze MD, PhD***

TSU Professor, Head of Public Health Department

Tbilisi

2022

Declaration

For the presented dissertation „ Campylobacteriosis in Hospitalized Children With Gastrointestinal Infection and Colonization of *Campylobacter* spp. in Poultry Flocks“, I declare that the dissertation is my own work, to the best of my knowledge. I referenced other authors and source in accordance with academic rules and ethical conduct.

Acknowledgment

My PhD dissertation would not have been possible without my supervisors Dr. Paata Imnadze and international consultant Dr. Kerstin Stingl. They guided my PhD research and assisted in publishing results in printed papers. They helped broaden my views, knowledge, and understanding of food born infections and epidemiology. I am very grateful for their dedication. I would like to give my special thanks to Dr. Liana Tevzade for sharing her immense microbiological laboratory experience and skills. She spent many hours hard at work with me at the lab in her late 80th.

As a final note, I would like to extend my appreciation to the members of the German Federal Institute for Risk Assessment (BfR) and the staff of the Richard Lugar Public Health Research Center in Tbilisi and Scientific Research Center of Agriculture for their kind support.

This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation (SRNSF), grant number PHDF_19_1542 ‘Study of Antibiotic Resistance Patterns of *Campylobacter* spp. Isolated from Diarrheal Cases and Poultry Samples in Georgia’.

Abstract

According to the World Health Organization, *Campylobacter* spp. is the leading foodborne pathogen causing bacterial gastroenteritis globally. Campylobacteriosis is characterized by diarrhea, fever, and abdominal cramps. Mostly, it is self-limited, but severe cases require antibiotic treatment. Moreover, postinfection autoimmune sequelaes, like Guillain-Barré increase the burden of the disease.

This doctoral thesis presents the first study of *Campylobacter* spp. in human and poultry samples in Georgia. The study aims to provide the first systematic data on campylobacteriosis among hospitalized children with bacterial gastroenteritis and to reveal the recent epidemiologic trends in comparison to other gastroenteric pathogens. In addition, it presents antimicrobial resistance and genetic diversity of *Campylobacter* spp. in human and poultry samples isolated in Georgia.

The study benefited from successful cooperation with the National Center for Disease Control and Public Health (NCDC), Tbilisi Children Infection Diseases Clinical Hospital and poultry companies at the national level and with the German Federal Institute of Risk Assessment (BfR) and the Department of Poultry Scinces of the University of Georgia in Athens (US, UGA) at the international level.

In total, 481 human fecal and 160 chicken ceca samples were collected and tested in 2020–2021. Culture-based bacteriological methods were followed by biochemical tests and real-time polymerase chain reaction methods for bacterial identification, confirmation, and species discrimination. In addition, 204 isolates were tested for their resistance to six antimicrobials using the microdilution method (MIC- EUCAST). The genetic determinants

of resistance and phylogenetic diversity of the isolates were investigated with whole genome sequence analysis.

The share of campylobacteriosis among hospitalized children with acute diarrheal illnesses was 16.6% on the country level, 95% CI [3.05, 20.8]. Comparison of epidemiologic trends of three main gastroenteric pathogens in Tbilisi revealed that *Shigella sonnei* was the most frequently isolated bacteria (19.1%, 95%CI [15.2, 23.4]), followed by *Campylobacter* spp. (12.3%, 95%CI [9.2, 16.0]) and *Salmonella* spp. (4.9%, 95%CI [3.0, 7.6]).

The estimated burden of campylobacteriosis by epidemiological pyramid method resulted in a putative annual incidence of 6 per 1,000 children in Tbilisi. In addition, the age distribution of the patients with *Campylobacter* spp. infection was significantly different from that of the patients infected with *Shigella sonnei*. Moreover, *Campylobacter* spp. was the leading bacterial agent of diarrhea in hospitalized children in the preschoolers (42%).

The antimicrobial susceptibility study showed the highest resistance against ciprofloxacin and tetracycline, irrespective to the isolation matrix and *Campylobacter* species, whereas all tested isolates were sensitive toward gentamicin, erythromycin, and chloramphenicol. For ertapenem, both human and poultry *C.coli* strains showed some percentage of resistance, however *C.jejuni* isolates were fully susceptible to this antimicrobial.

The point mutations in *gyrA* (T86I) and *tet* (O) genes were detected as resistance determinants for (fluoro)quinolone and tetracycline resistance, respectively. Multiresistance was more frequently observed in *C.coli* than in *C.jejuni*. Besides, the Georgian strains showed high variability of multilocus sequence types, including three novel sequence types. It is worth mentioning that untypically

the major species in poultry isolates was *C.coli*, whereas *C.jejuni* dominated human samples.

The presented study revealed the endemic nature of the *Campylobacter* spp. infection in the country. The multisectoral outcomes of the presented study might be useful at food safety, veterinary, and public health sectors of the country.

Introduction

Campylobacteriosis is a disease caused by thermotolerant *Campylobacter* spp. It is one of the four leading causes of diarrhea worldwide and is considered the most common cause of foodborne bacterial gastroenteritis. *Campylobacter* species are motile, curved, microaerobic, gram-negative rods that commonly reside in the intestinal tract of many wild and domestic warm-blooded animals. The predominant species isolated from human infections and other matrices is *Campylobacter jejuni*, followed by *C. coli*, but also other *Campylobacter* spp. have been associated with human disease, including *C. lari* and *C. uppsaliensis*.

Many sources of *Campylobacter* have been identified, such as raw milk and domestic animals, but broilers and broiler meat are the most important. EFSA estimates that chicken meat consumption accounts for 20-30% of campylobacteriosis in the EU, with 50-80% of cases linked to the house as a whole.

